ხობის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის ანგარიში

საანგარიშო პერიოდში საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური თავის საქმიანობას წარმართავდა საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", საქართველოს კანონების, ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი"-ს, საკრებულოს გადაწყვეტილებების და მერიის დებულებების შესაბამისად.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2018 წლის 28 დეკემბრის #44 დადგენილებით დამტკიცებულ იქნა მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი. 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი და მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარედგინა დადგენილ ვადაში. წარდგენილი ბიუჯეტის პროექტს თან დაერთო დანართები, რომელიც შეიცავდა მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების და მუნიციპალიტეტის სუბსიდიაზე მყოფი იურიდიული პირების 2019 წლის ხარჯების პროექტების დაწვრილებით მონაცემებს საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი ყველა საჭირო დანართებით და მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი წარდგენილ იქნა ფინანსთა სამინისტროში.

წინა წლების მსგავსად წელსაც დიდი სამუშაოები ჩატარდა ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციის მიმართულებით. კერძოდ, 2019 წელს ხობის მუნიციპალიტეტში 145 პროექტი განხორციელდება, რაზეც 25 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება.

ზემო ქვალონში სრულად კეთილმოეწყო ბაღი, დასრულდა ცენტრალური პარკის რეაბილიტაციის პირველი ეტაპი და დაიწყო მეორე. ზემო ქვალონსა და შავღელეში დასრულდა გზის რეაბილიტაციის პირველი ეტაპი, ქარიატასა და თორსაში უახლოეს პერიოდში დასრულდება შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია. ზედა ზონის სოფლებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ბია-საჯიჯაოს დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის პროექტი, რომელიც წარმატებით განხორციელდა და მოსახლეობას უსაფრთხოდ და კომფორტულად გადაადგილების საშუალება მიეცა. ქ. ხობში შენდება საზოგადოებრივი ცენტრი, გადაუდებელი დახმარების ცენტრი, სამშენებლო სამუშაოები ჩატარდა სკოლებსა და ამბულატორიებში. წელს გაზიფიცირდა პირველი მაისი, ხოლო ამ ეტაპზე აქტიურად მიმდინარეობს ხამისკურში გაზიფიცირების სამუშაოები.

წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და თანადაფინანსებით (ადგილობრივი ბიუჯეტი) დაფინანსებულიქნა 8 პროექტი საერთო თანხით 4654,3 ათასი ლარი, 12 თვის მდგომარეობით. (მათ შორის 241,7 ათასი ლარი ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით), კერძოდ:

1. ქალაქ ხობში ცენტრალური პარკისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა 500 ათასი ლარი. მათ შორის თანადაფინანსება23,7 ათასი ლარი. (დასრულებულია სამუშაოები. ფაქტიური ღირებულებით 474.8 ათასი ლარი.)

2. ზემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში გზის რეაბილიტაცია 800ათასი ლარი. მათ შორის თანადაფინანსება 40.0 ათასი ლარი.(დასრულებულია სამუშაოები. ფაქტიური ღირებულებით 800 ათასი ლარი.)

3. ახალი ხიბულისა და საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია 909,6 ათასი ლარი. მათ შორის თანადაფინანსება 45,5 ათასი ლარი.(დასრულებულია სამუშაოები. ფაქტიური ღირებულებით 909,6 ათასი ლარი.)

4. ახალი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ გაშფერდში სასაფლაომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია 188 ათასი ლარი. მათ შორის თანადაფინანსება 9,4 ათასი ლარი.(დასრულებულია სამუშაოები. ფაქტიური ღირებულებით 188 ათასი ლარი.)

5. ხობის მუნიციპალიტეტის შავღელეს ადმინისტრაციული ერთეულის შიდა სასოფლო გზის სარეაბილიტაციო (ასფალტო-ბეტონის) სამუშაოები 1350 ათასი ლარი. მათ შორის თანადაფინანსება 67,5 ათასი ლარი.(დასრულებულია სამუშაოები. ფაქტიური ღირებულებით 1350 ათასი ლარი.)

6. თორსა-დღვაბის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრიდან სოფელ საბუკიოს მიმართულებით სასაფლაომდე მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები 587,1 ათასი ლარი. მათ შორის თანადაფინანსება 29,3 ათასი ლარი.(დასრულებულია სამუშაოები. ფაქტიური ღირებულებით 585,8 ათასი ლარი)

7. ქვემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ დურღენაში სასაფლაომდე მისასავლელი გზის მოწყობის (ასფალტო ბეტონი) სამუშაოების შესყიდვა 169.09 ათასი ლარი. მათ შორის თანადაფინანსება 18,3 ათასი ლარი.(დასრულებულია სამუშაოები. ფაქტიური ღირებულებით 169.09 ათასი ლარი)

8. ქალაქ ხობში ცენტრალური პარკისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის მეორე ეტაპის სამუშაოები 150,4 ათასი ლარი. მათ შორის

თანადაფინანსება 8,029 ათასი ლარი.(დასრულებულია სამუშაოები. ფაქტიური ღირებულებით 150,384 ათასი ლარი).

<u>სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებით განხორციელდა 947,2 ათასი ლარის სამუშაოები კერძოდ:</u>

1. საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გაღმა საჯიჯაოში მდინარე ზანაძგაზე ხიდის (საჭანტურიოს უბანი) სარეაბილიტაციო სამუშაოები 220,9 ათასი ლარი.მათ შორის თანადაფინანსება 159 ათასი ლარი.(დასრულებულია სამუშაოები. ფაქტიური ღირებულებით 220,8 ათასი ლარი).
2. ხობის მუნიციპალიტეტის ხამისკურის ადმინისტრაციულ ერთეულში (ზემოსაფარცვანიოში ჯეგეთასთან) გაბიონის მოწყობა გადასასვლელი ფონისთვის 18,8 ათასი ლარი (დასრულებულია სამუშაოები. ფაქტიური ღირებულებით 18,7 ათასი ლარი).
3. ხობის მუნიციპალიტეტის ხამისკურის ადმინისტრაციულ ერთეულში (საკუკაოს უბანში ელდარ გვასალიას სახლთან) N 2 ხიდის მოწყობის სამუშაოები 7,3 ათასი ლარი (დასრულებულია სამუშაოები. ფაქტიური ღირებულებით 7,3 ათასი ლარი).
4. ხობის მუნიციპალიტეტის ხამისკურის ადმინისტრაციულ ერთეულში (საკუკაოს უბანში ელდარ გვასალიას სახლთან) N1 ხიდის მოწყობის სამუშაოები 16,7 ათასი ლარი (დასრულებულია სამუშაოები. ფაქტიური ღირებულებით 16,7ათასი ლარი).
5. ხობის მუნიციპალიტეტის ხამისკურისადმინისტრაციულერთეულში (საკუკაოსუბანი, სასაფლაოსთან) გაბიონისმოწყობაგადასასვლელიფონისთვის 10,6 ათასი ლარი(დასრულებულია სამუშაოები. ფაქტიური ღირებულებით 10,5ათასი ლარი).
6. გორგასალისქუჩაზე (კობაზარანდიას) სახლთანრკ/ბეტონისსანიაღვრეარხისმოწყობა 10,7 ათასი ლარი (დასრულებულია სამუშაოები. ფაქტიური ღირებულებით 10,6 ათასი ლარი).
7. ხობის მუნიციპალიტეტის ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ხეთაში (მალხაზ აბშილავას სახლთან) N1 ხიდბოგირის რეაბილიტაცია 4 ათასი ლარი (დასრულებულია სამუშაოები. ფაქტიური ღირებულებით 3,9 ათასი ლარი).
8. ხობის მუნიციპალიტეტის ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ოხვამეკარში (თეატრონთან) ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები 2 ათასი ლარი (დასრულებულია სამუშაოები. ფაქტიური ღირებულებით 2 ათასი ლარი).

9. ხობის მუნიციპალიტეტის პირველიმაისისადმინისტრაციულერთეულში (საჩოკორაიოსუბანი) მდინარემუნჩიაზეხიდისსარეაბილიტაციოსამუშაოები48.3 ათასი ლარი (დასრულებულია სამუშაოები. ფაქტიური ღირებულებით 48,3 ათასი ლარი).

10. ხობის მუნიციპალიტეტის ხამისკურისადმინისტრაციულერთეულში (ზემოსაფარცვანიო ,დავითფარცვანიასსახლთან) გაბიონისმოწყობაგადასასვლელიფონისთვის6.3 ათასი ლარი (დასრულებულია სამუშაოები. ფაქტიური ღირებულებით 6,1 ათასი ლარი).

11. თორსა-
დღვაბისადმინისტრაციულიერთეულისსოფლებშისანიაღვრეარხებისამოწმენდითის ამუშაოები42.3 ათასი ლარი (დასრულებულია სამუშაოები. ფაქტიური ღირებულებით 42 ათასი ლარი).

12. ხობის მუნიციპალიტეტის საჯიჯაოსადმინისტრაციულერთეულში (სოფელზენშისაშეროზიოსუბანი) №2 ხიდბოგირისმოწყობა 12 ათასი ლარი (დასრულებულია სამუშაოები. ფაქტიური ღირებულებით 11,6 ათასი ლარი).

13. ხობის მუნიციპალიტეტის პირველიმაისისადმინისტრაციულერთეულში (საკობახიოსუბანი) წარეცხილისანაპიროზოლისგამაგრებითი (გაბიონი) სამუშაოები44.7 ათასი ლარი (დასრულებულია სამუშაოები. ფაქტიური ღირებულებით 42.1 ათასი ლარი).

14. ხობის მუნიციპალიტეტის საჯიჯაოსადმინისტრაციულერთეულში (სოფელიზენისაშეროზიოსუბანი) ხიდბოგირისწარეცხილისარეგულაციოებისაღდგენა13.3 ათასი ლარი (დასრულებულია სამუშაოები. ფაქტიური ღირებულებით 12,9 ათასი ლარი).

15. ხობის მუნიციპალიტეტის ნოჯიხევისადმინისტრაციულერთეულში (გოდორაძეთეზიკოსსახლისგვერდით) წარეცხილისანაპიროზოლისგამგრებითი (გაბიონი) სამუშაოები13.3 ათასი ლარი (დასრულებულია სამუშაოები. ფაქტიური ღირებულებით 13.3 ათასი ლარი).

16. ხობის მუნიციპალიტეტის ხამისკურისადმინისტრაციულერთეულში (ზემოსაფარცვანიო, მურთაზლომიასსახლთან) გაბიონისმოწყობაგადასასვლელიფონისთვის15.3 ათასი ლარი (დასრულებულია სამუშაოები. ფაქტიური ღირებულებით 12,4 ათასი ლარი).

17. ხობის მუნიციპალიტეტის ხეთისადმინისტრაციულერთეულშისოფელხეთაში (ლოლუებისქუჩაზე) ხიდისსარეაბილიტაციოსამუშაოები 27,3 ათასი ლარი (დასრულებულია სამუშაოები. ფაქტიური ღირებულებით 26,7 ათასი ლარი).

18. ხობის მუნიციპალიტეტის ხეთისადმინისტრაციულერთეულშისოფელოხვამეკარში (თემურიკიპურჭაძესსაცხოვრებელსახლთან) ხიდისსარეაბილიტაციოსამუშაოები 15.1 ათასი ლარი (დასრულებულია სამუშაოები. ფაქტიური ღირებულებით 14,9 ათასი ლარი).

19. ხობის მუნიციპალიტეტის ხამისკურისადმინისტრაციულერთეულში (საკუკაოსუბანიალექსანდრეკვარაცხელიასსახლთან) მილხიდისსარეაბილიტაციოსამუშაოები 7 ათასი ლარი (დასრულებულია სამუშაოები. ფაქტიური ღირებულებით 5,9 ათასი ლარი).

20. ხობის მუნიციპალიტეტის ხამისკურისადმინისტრაციულერთეულში (საკუკაოსუბანშირესტორანჯეგეთასთან) მილხიდისსარეაბილიტაციოსამუშაოები 3,6 ათასი ლარი (დასრულებულია სამუშაოები. ფაქტიური ღირებულებით 3,5 ათასი ლარი).

21. ხობის მუნიციპალიტეტის ხამისკურისადმინისტრაციულერთეულში (საკუკაოსუბანიბესიკიკვირტიასსახლთან) ხიდისმოწყობა 70 ათასი ლარი (დასრულებულია სამუშაოები. ფაქტიური ღირებულებით 68 ათასი ლარი).

22. სოფელგაღმასაჯიჯაოშიმდინარეზანაძგაზეგადებულიხიდისსარეაბილიტაციო სამუშაოები 215,1 ათასი ლარი, მათ შორის თანადაფინანსება 60,6 ათასი ლარი (დასრულებულია სამუშაოები. ფაქტიური ღირებულებით 210,6 ათასი ლარი).

23. ნოჯიხევისადმინისტრაციულიერთეულისსოფელნოჯიხევშისასაფლაოსმიმდე ბარეტერიტორიისსანიაღვრეარხისრეაბილიტაცია 25,7 ათასი ლარი (დასრულებულია სამუშაოები. ფაქტიური ღირებულებით 25,7 ათასი ლარი).

24. ქ. ხობშიჭავჭავაძისქუჩისსანიაღვრეარხისსარეაბილიტაციოსამუშაოები 34,1 ათასი ლარი (დასრულებულია სამუშაოები. ფაქტიური ღირებულებით 31,8 ათასი ლარი).

25. ქ.ხობშივეკუა-გოგებაშვილი, ცოტნედადიანისქუჩებისსანიაღვრეარხებისსარეაბილიტაციოსამუშაოები71,0ათასილარი(დასრულებულია სამუშაოები. ფაქტიური ღირებულებით 67,7 ათასი ლარი).

26. ბიისადმინისტრაციულერთეულშიახალისაცალფეხოხიდისმოწყობა 336,9 ათასი ლარი (მიმდინარეობს სამუშაოები, 12 თვის მონაცემებით ფაქტიური შესრულება 283,8 ათასი ლარი, პროექტი გარდამავალია)

27. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება- 13,3 ათასი ლარი

.*<u>ამბულატორიების რეგილიტაციისთვის გამოყოფილი თანხებითგანხორციელდა 111,7 ათასილარის სამუშაოები კერძოდ:</u>*

1. ხობის მუნიციპალიტეტის საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულის საექიმო ამბულატორიის სარეაბილიტაციო სამუშაოები 31,3 ათასი ლარი (დასრულებულია სამუშაოები. ფაქტიური ღირებულებით 30 ათასი ლარი).

2. ხობის მუნიციპალიტეტის ხამისკურის ადმინისტრაციული ერთეულის საექიმო ამბულატორიის სარეაბილიტაციო სამუშაოები 31 ათასი ლარი (დასრულებულია სამუშაოები. ფაქტიური ღირებულებით 30,3 ათასი ლარი).

3. ხობის მუნიციპალიტეტის ძველი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეულის საექიმო ამბულატორიის სარეაბილიტაციო სამუშაოები 10,3 ათასი ლარი (დასრულებულია სამუშაოები. ფაქტიური ღირებულებით 9,7 ათასი ლარი).

4. ხობის მუნიციპალიტეტის პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეულის საექიმო ამბულატორიის სარეაბილიტაციო სამუშაოები 20,1 ათასი ლარი (დასრულებულია სამუშაოები. ფაქტიური ღირებულებით 19,5 ათასი ლარი).

5. ხობის მუნიციპალიტეტის ახალი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეულის საექიმო ამბულატორიის სარეაბილიტაციო სამუშაოები 23 ათასი ლარი (დასრულებულია სამუშაოები. ფაქტიური ღირებულებით 22,2 ათასი ლარი).

6. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 65 პროექტი დაფინანსდა 784 ათასი ლარით, 10 სკოლის რეაბილიტაციისთვის გამოიყო 530 ათასი ლარი; სამედიცინო დაწესებულებების მშენებლობა/რემონტი - 5 ამბულატორია და გადაუდებელი დახმარების ცენტრი - 406 ათასი ლარი.

ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შესწავლას, სოციალური და ჯანმრთელობის მუნიციპალური პროგრამების შემუშავებას და შესაძლებლობის ფარგლებში, მათთვის სათანადო დახმარების გაწევას. ამ კუთხით, მერია თავის უფლებამოსილებას ახორციელებს შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის მეშვეობით.

მუნიციპალიტეტში ერთიანი სოციალური და ჯანდაცვის დახმარების მუნიციპალური პროგრამა, 2019 წელს 510040 ლარით დამტკიცდა, აქედან სოციალური პაკეტი 473800 ლარით, ხოლო ჯანდაცვის მუნიციპალური პაკეტი 36240 ლარით. აღნიშნული პროგრამით 17 სოციალურად დაუცველ ოჯახს გადაეცა სახლის გადასახურად საჭირო მასალა; ოპერაციის თანადაფინანსების მიზნით 236 ავადმყოფზე გაიცა 165000 ლარის საგარანტიო წერილი.

სოციალური პაკეტით ერთჯერად ფულად დახმარებებზე გათვალისწინებული იყო 40000 ლარი, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამების უზრუნველყოფის კომისიაში შემოვიდა 800 განცხადება. საკითხის შესწავლის შემდეგ, 299 მოქალაქეზე გაიცა 29 900 ლარის ფულადი დახმარება.

საოპერაციო დახმარების სახით, 236 ავადმყოფზე გაიცა 165 000 ლარის საგარანტიო წერილი;

ახალშობილთა დახმარებაზე, პირველ და მეორე ბავშვზე 100 ლარი გაიცა, ხოლო მე-3 და ზევით 300-300 ლარი.

უმწეოთა სასადილო დაფინანსდა 70400 ლარით, სადაც დღეში 1-ჯერ იკვებება 135 ბენეფიციარი;

უმწეო კატეგორიის 179 ოჯახს, წყლის საფასურის სუბსიდირებისთვის ჩაერიცხა 7282 ლარი;

სარვამარტოდ ასევე დაფინანსდა 100 წელს გადაცილებული 4 ქალბატონი. ჩაერიცხათ ანგარიშზე ჩაერიცხათ 150 ლარი.

სოციალურად დაუცველ 17 ოჯახზე, სახლის სახურავის სარეაბილიტაციოდ გაიცა 40000 ლარი.

0-18 წლამდე ბავშვების სამედიცინო სარეაბილიტაციო დახმარებაზე პროგრამით ისარგებლა 12 ბენეფიციარმა და გაიცა საგარანტიო წერილი 5575 ლარის თანადაფინანსებაზე.

დიალიზზე მყოფ ავადმყოფზე სატრანსპორტო ხარჯისთვის გამოიყო 11100 ლარი, სულ 12 ბენეფიციარი.

დევნილის და ვეტერანთა დაკრძალვაზე სულ გამოიყო 4500 ლარი. გარდაიცვალა 15 დევნილი და დაფინანსდა 3000 ლარით, ასევე გარდაიცვალა 2 ვეტერანი და ოჯახს გადაერიცხა 250-250 ლარი.

აფხაზეთის ომში დაღუპულთა 17 ოჯახზე გაიცა ერთჯერადი თანხა 200-200 ლარი.

8 აგვისტოს ომში დაღუპულ 7 ოჯახზე გაიცა 1400 ლარი.

ჩერნობილის ტრაგედიის მონაწილე 16 პირზე გაიცა ერთჯერადად 1600 ლარი.

ომის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების შედეგად შშმ 7 პირზე გაიცა 1400 ლარი, თითოეულზე 200 ლარი ერთჯერადად.

მრავალშვილიანთა დახმარებაზე სარვამარტოდ 76 ოჯახზე გაიცა 11 400 ლარი

ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულია 3433-მდე იძულებით გადაადგილებული პირი. მათ შორის 1042 კომპაქტურადაა ჩასახლებული, ხოლო 2391 კერძო სექტორში ცხოვრობს. მათ ერთჯერადი და საოპერაციო და სხვა პროგრამით გათვალისწინებული დახმარებები ეძლევათ.

ხანძრითა და სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად გამოიყო 27678 ლარი, დახმარება გაეწია 15 დაზარალებულ ოჯახს .

სამამულო ომის 1ვეტერანს 9 მაისს ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით ჩაერიცხა 500 ლარი.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლზე გამოყოფილი იყო პროგრამით ერთჯერადი დახმარებით რომლითაც ისარგებლა 1 პირმა და ჩაერიცხა 300 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური უზრუნველყოფს თვითმმართველ ერთეულში ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრას და განხორციელებას. ეკონომიკური საქმიანობის მარეგულირებელი წესების შემუშავებას და განხორციელებას, სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება-დამუშავებას. წინადადებების შემუშავებას მუნიციპალიტეტის ქონების მართვის, სატრანსპორტო რეგულირების,

ადგილობრივი მოსაკრებლების, ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე და სხვა ეკონომიკური აქტივობების შესახებ.

მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის, ბუნებრივი რესურსების ტრანსპორტის რეგულირებისა და ადგილობრივი მოსაკრებლის განყოფილების მიერ კონტროლზეა აყვანილი მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში არსებული ქონების მართვა, განყოფილების მიერ მერთან შეთანხმებით ხორციელდება სახელმწიფო და ადგილობრივი ქონების გამიჯვნა, რეგისტრაციისათვის საჭირო პროცედურების ჩატარება და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაცია.

აუქციონის ფორმით ხორციელდება მუნიციპალური ქონების გაიჯარება და პრივატიზება 2019 წლის 12 თვეში არასასოფლო სამეურნეო მიწის ქონების გადასახადი იურიდიული პირებიდან ბიუჯეტში შემოსულია 1826 ათასი ლარი, ხოლო ფიზიკური პირებიდან 56,3 ათასი ლარი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი იურიდიული პირებიდან 211,1 ათასი ლარი, ხოლო ფიზიკური პირებიდან 135,6 ათასი ლარი, მუნიციპალური ქონების გაიჯარებიდან კი 34 ათასი ლარი.